


აკადემიკოს ილია ვეკუას სახელობის ფიზიკა- მათემატიკის ქალაქ თბილისის №42 საჯარო სკოლა



2018-2019 წლის მნიშვნელოვანი მოვლენები და წარმატებები

- 2018-2019 სასწავლო წლის კურსდამთავრებულთა სიდიდის მიხედვით



2018-2019 წლის მნიშვნელოვანი მოვლენები და ნარმატებები

- 2018-2019 სასწავლო წელს 42-ე საჯარო სკოლის 19-მა მოსწავლემ სკოლა წარჩინებით დაამთავრა
- აქედან 11-მა ოქროს, ხოლო 8 მოსწავლემ ვერცხლის მედალი დაიმსახურა;

2018-2019 წლის მნიშვნელოვანი მოვლენები და წარმატებები

მოსწავლეთა წარმატებები

წარჩინებული მოსწავლეები ლექტორებით დასაჩუქრდნენ

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრმა, ქალაქ თბილისის მერმა და თბილისის საკრებულოს თავმჯდომარემ თბილისის საჯარო სკოლების წარჩინებულ მეათე კლასელებს საჩუქრად პერსონალური კომპიუტერები გადასცეს. ჩვენი



სკოლიდან პერსონალური კომპიუტერი ნიკოლოზ ყურუა, გიორგი კუჭავა, ანასტასია ფილფანი, ელენე

მემდეგ ოთხი მოსწავლეს გადაეცა: ფანიამჭილი. ამ მოსწავლეებმა საბაზო საფეხური (მე-7, მე-8 და მე-9 კლასები) წარმატებით დაასრულეს და მათი საფეხურის ნიშანი გახლავთ 10 ქულა დამრგვალების გარეშე.

მოსწავლეების საერთაშორისო წარმატება

2019 წლის 13-17 იანვარს ყაზახეთის ქალაქ ალმატიში ჩატარდა **ჟაუტიკოვის** სახელობის მე-15 საერთაშორისო ოლიმპიადა მათემატიკაში, ფიზიკასა და ინფორმატიკაში. წელს ოლიმპიადაზე 18 ქვეყნის 82სკოლის გუნდი იყო წარმოდგენილი. მათ შორის ტრადიციულად მონაწილეობდნენ აკადემიკოს ილია ვეკუას სახელობის ფიზიკა-მათემატიკის ქალაქ თბილისის №42 საჯარო სკოლის მოსწავლეთა გუნდიც.



ჩვენი სკოლის მოსწავლეები წარმატებით გამოვიდნენ ამ მეტად პრესტიჟულ ოლიმპიადაზე. **მეთორმეტეკლასელმა ნიკა სალიამ** ინფორმატიკაში **ვერცხლის** მედალი მოიპოვა, **მეთერთმეტე კლასის** მოსწავლემ **გიორგი ძაძამიამ** კი ფიზიკაში ბრინჯაოს მედალი დაიმსახურა.

ჩვენი სკოლის მოსწავლეები გიორგი ადიკაშვილი და გიორგი ძაძამია ფიზიკისა და მათემატიკის 50-ე საერთაშორისო სასწავლო ოლიმპიადების (IMO-2019;IPHO-2019)-ის საპატიო სიგელების მფლობელები გახდნენ

ფიზიკის საერთაშორისო ოლიმპიადაზე აკადემიკოს ილია ვეკუას სახელობის ფიზიკა მათემატიკის ქალაქ თბილისის №42 საჯარო სკოლის მოსწავლემ **გიორგი ძაძამიამ** ფიზიკაში საპატიო სიგელი მოიპოვა, **გიორგი ადიკაშვილმა** კი მათემატიკაში. ფიზიკისა და მათემატიკის 50-ე საერთაშორისო ოლიმპიადები 21-29 ივლისს, დიდ ბრიტანეთსა და ისრაელში ჩატარდა. საერთაშორისო სასწავლო ოლიმპიადებისათვის ნაკრები გუნდის წევრები 2019 წლის ეროვნული სასწავლო ოლიმპიადის მესამე ტურის შედეგებისა და შესარჩევი ტურების შედეგად შეირჩნენ.



საქართველოს ნაკრები გუნდის მონაწილეობა ახალგაზრდა ნატურალისტთა VII საერთაშორისო ტურნირზე

2019 წლის 18-დან 24 აგვისტოს ჩათვლით საქართველოს ნაკრებმა გუნდმა მონაწილეობა მიიღო ახალგაზრდა ნატურალისტთა მე-7 საერთაშორისო ტურნირში, რომელიც ჩატარდა ბელორუსის დედაქალაქ მინსკში.

ტურნირში ჩართული იყო მსოფლიოს 11 ქვეყნის 21 გუნდი, მათ შორის საქართველოს გუნდიდან ჩვენი სკოლის მოსწავლეებიც: **ლევან ლოლაშვილი**, **ნენე ჟვანია** და **სალომე მიქელაძე**. ამ მეტად პრესტიჟულ ტურნირზე საქართველოს ნაკრების წევრები **ბრინჯაოს** მედლებით დაჯილდოვდნენ.

საქართველოს გუნდს ხელმძღვანელობდნენ აკადემიკოს ილია ვეკუას სახელობის ფიზიკა-მათემატიკის ქალაქ თბილისის N42 საჯარო სკოლის ტურნირებისთვის მოსამზადებელი წრის ხელმძღვანელები, ამავე სკოლის კონსულტაციური მეთოდოლოგი **გიორგი ხომერიკი**, **გიორგი ბახტაძე**, **ზურაბ ვარდანაშვილი** და



წარმატებული კურსდამთავრებულები

ჩვენი სკოლის წარმატებული კურსდამთავრებულები აშშ-ის უმაღლესებში

აკადემიკოს ილია ვეკუას სახელობის ფიზიკა-მათემატიკის ქალაქ
თბილისის № 42 საჯარო სკოლის კურსდამთავრებულმა **საბა
ხარაბაძემ, გუგა ხუნდაკიშვილმა და ბექა მოდრეკილაძემ** Purdue
University-ს ფიზიკის PhD პროგრამაზე დაფინანსება მიიღეს და
მომდევნო 4-5 წლის განმავლობაში სასწავლო პროგრამასთან ერთად
მუშაობის შესაძლებლობასაც ექნებათ. ამერიკული მხარე
ახალგაზრდებს უნივერსიტეტში Teaching Assistantებად დაასაქმებს.



მათემატიკური ფესტივალი- 2019

2019 წლის 14 მარტს, საქართველოში უკვე მეოთხედ ჩატარდა ყველაზე მასშტაბური, ყოველწლიური „**მათემატიკის ფესტივალი**“.

მათემატიკის ფესტივალზე ჩატარდა π რიცხვის კონკურსი, რომელშიც ჩვენი სკოლის მოსწავლეებმა **ხარება გრძელიშვილმა** და **ნიკოლოზ შენგელაიამ** π რიცხვის გამომცნობი ხელსაწყო წარადგინეს, რომელმაც დამსწრე საზოგადოებაში დიდი ინტერესი გამოიწვია. π რიცხვის კონკურსში **ნიკოლოზ შენგელაიამ** II ადგილი დაიკავა.

კონკურსის ყველა მონაწილე სიგელებით დაჯილდოვდა.



ჩვენი სკოლის VII-5 კლასის მოსწავლე ლუკა ძიძიგური თბილისის თავისუფალი სკოლის მათემატიკის ოლიმპიადის გამარჯვებულია

თბილისის თავისუფალი სკოლის ორგანიზებით ჩატარდა მათემატიკის ოლიმპიადი მეშვიდეკლასელთათვის. ოლიმპიადაში მონაწილეობდა თბილისის სხვადასხვა სკოლების მოსწავლეები. მათ შორის აკადემიკოს ილია ვეკუას სახელობის ფიზიკა-მათემატიკის ქალაქ თბილისის №42 საჯარო სკოლის მეშვიდეკლასელებიც. ოლიმპიადის სტრუქტურა სპეციალურად შეიქმნა იმისთვის, რომ შეემონებინა მოსწავლეების მათემატიკური აზროვნებისა და ათვისების უნარები.

ჩვენი სკოლის მეშვიდეკლასელი ლუკა ძიძიგური მათემატიკის ოლიმპიადის გამარჯვებული გახდა და მას საჩუქრად გადაეცა თბილისის თავისუფალი სკოლის დირექტორის სერგო ბრინილენდის სერტიფიკატი.



აკადემიკოს ილია ვეკუას სახელობის ფიზიკა-მათემატიკის ქალაქ თბილისის № 42 საჯარო სკოლის მოსწავლეები მოსწავლეთა და მასწავლებელთა რესპუბლიკური კონფერენციაზე- "ოქროს რიცხვი – 2019".


2019 წლის 19 მაისს საქართველოს აგრარულ უნივერსიტეტში ჩატარდა მოსწავლეთა და მასწავლებელთა რესპუბლიკური კონფერენცია "ოქროს რიცხვი - 2019". კონფერენცია ორგანიზებული იყო საქართველოს პროფესიონალ ქიმიკოსთა ასოციაციის მიერ, მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის, ათასწლეულის გამონვევის ფონდის "მასწავლებელთა და სკოლის დირექტორთა პროფესიული განვითარების" პროექტის ფარგლებში. კონფერენციაზე აქტიური მონაწილეობა მიიღეს აკადემიკოს ილია ვეკუას სახელობის ფიზიკა-მათემატიკის ქალაქ თბილისის №42 საჯარო სკოლის ქიმიის კლუბის წევრმა მოსწავლეებმა(კლუბის ხელმძღვანელი :თინათინ ბუთხუზი). მოსწავლეები ორი თვის განმავლობაში ამზადებდნენ კვლევით პროექტებს და კონფერენციაზე წარმატებულად წარადგინეს თავიანთი ნაშრომები.



მოსწავლეების მიერ შექმნილი „რობოტი 42“


2018-2019 სასწავლო წელს სტანდარტზედა მომსახურების სერვისის-რობოტექნიკის პროგრამის ფარგლებში მოსწავლეების მიერ შეიქმნა რობოტი სახელწოდებით „რობოტი 42“

რობოტი იმართება, როგორც დისტანციურად ასევე, პროგრამულად. მას აქვს საშუალება იმოძრაოს წინასწარ დადგენილი ტრაექტორიით, აღჭურვილია Microsoft kinect სენსორით რაც საშუალებას აძლევს მას გამოიცნოს ადამიანის ჟესტები. რობოტს აქვს ასევე, ხმის სენსორები, რომლის მეშვეობითაც განისაზღვრება ხმის მიმართულება. რობოტის პროგრამული უზრუნველყოფა საშუალებას იძლევა ამოიცნოს ინგლისურ ენაზე წარმოთქმული სიტყვები და შეასრულოს შესაბამისი ბრძანებები



მეთერთმეტეკლასის მოსწავლე ანა ჭაფარაძე სატელევიზიო გადაცემა „ნიგნების თაროს“ ხალხის რჩეულია

აკ. ი.ვეკუას სახელობის 42-ე საჯარო სკოლა ყოველწლიურად მონაწილეობას იღებს სატელევიზიო გადაცემა „ნიგნების თაროში“. წელს მეთერთმეტე კლასელმა ანა ჭაფარაძემ ხალხის რჩეულის ტიტული მოიპოვა და არდადეგები კემბრიჯის საბავშვო სკოლაში გაატარა.



ანა ჭაფარაძე

RCHEULI.1TV.GE

“

მე ვარ ჭაფარა (ჭაფა, ჭაფი, ჭაფო, ჭაფიკი, ჭაფიკო, ჭაფარიკო და ა.შ., კიდევ არამადი ვხრიხართ). გამორჩეული შოგი არ მაქვს, თუმცა ვბრუნდები ჩემი თავისუფალი დროის (როგორც იქნა) არ უნდა გამოვდებ, აგრეთვე კადრან გავსი მაქვს) სისუფთავეში დასრუტვება, ან სისუფთავეს სია კი ისევე გრძელდება, როგორც ჩემი სკოლის სრული სუბედი. მიყვარს ამბობრების წრეში ყოფნა და ადრინდის რადი. არ მიყვარს, როცა უხერხულ სიტუაციებში აბაღებენ ან "თქვენ გვირდით" აბაგირად "თქვენს გვირდით" აბაგობენ. წარმოღებენ არ მაქვს, მომავალში რა მიწა, თუცა ანა, რომ წაეს თუ ვერა, წიგნების თაროს თასს აინც დაგიჭერ ხედი იღესა.

”

ხალხის რჩეული



ჩვენი სკოლის XI-3 კლასის მოსწავლე თეკლე მუსერიძე დედაენის დღისადმი მიძღვნილი ბლოგების კონკურსის " მე და დედაენა " გამარჯვებულია.

2019 წლის 14 მაისს GAU (ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტის) ორგანიზებით გაიმართა დედაენის დღისადმი მიძღვნილი დასკვნითი ღონისძიება. ლიტერატურული კონკურსის ფარგლებში სკოლის მოსწავლეებს საქართველოს მასშტაბით უნდა წარედგინათ ნაშრომი სახელწოდებით " მე და დედაენა".

დაჯილდოვების ცერემონია საქართველოს მწერალთა სახლში გაიმართა.

ფინალში მოხვდა 10 საუკეთესო ბლოგი.. მათ შორისაა ჩვენი სკოლის IX -1 კლასის მოსწავლე ლიზი თურმანიძე (პედაგოგი: მარინე დეკანოიძე). პირველი ადგილი კი დაიკავა XI-3 კლასის მოსწავლემ თეკლე მუსერიძემ(პედაგოგი: ნინო ნასყიდაშვილი).

გამარჯვებულებს პრემიად გადაეცათ სიმბოლოური საჩუქრები GAU-საგან. ასევე, ისინი 15 აპრილს მიიწვიან აშშ-ში (სადაც გაიმართება "დედაენის დღეები").



აკადემიკოს ილია ვეკუას სახელობის ფიზიკა-მათემატიკის №42 საჯარო სკოლის მოსწავლეებმა გამოსცეს მოთხრობების კრებული „მშვიდობის ყუთის ამბები“

აკადემიკოს ილია ვეკუას სახელობის ფიზიკა-მათემატიკის ქალაქ თბილისის №42 საჯარო სკოლის მოსწავლეების მიერ გამოცა მოთხრობების კრებული „მშვიდობის ყუთის ამბები“ (პროექტის ხელმძღვანელი-სამოქალაქო განათლების პედაგოგი:მ.ბიბილეიშვილი). პროექტის საორგანიზაციო ჯგუფის წევრები არიან: ლევან ლოლაშვილი (IX-1 კლასი), მარიამ გობალიშვილი (IX-4 კლასი) და დავით ედილაშვილი (IX-3 კლასი). კრებულში შესულია ჩვენი სკოლის მოსწავლეების ნამუშევრები. გამოცემის მიზანია ხელი შეუწყოს მოსწავლეებში ძალადობრივი, დისკრიმინაციული, რადიკალური, ექსტრემისტული ქმედებებისა და დამოკიდებულებების აღმოფხვრას.

კრებული მომზადებულია პროექტის „მშვიდობიანი კულტურის კვალდაკვალ“ ფარგლებში. პროექტს ახორციელებს კონსულტაციისა და ტრენინგის ცენტრი სამოქალაქო განათლების პედაგოგთა ფორუმთან პარტნიორობით, ევროკავშირის პროგრამის STRIVE Global-ის დაფინანსებული პროექტის Hedayah-ს ფინანსური მხარდაჭერით.



აკადემიკოს ილია ვეკუას სახელობის ფიზიკა მათემატიკის ქალაქ თბილისის № 42 საჯარო სკოლის მოსწავლეებმა შემოქმედებითი კრებული გამოსცეს


კრებული „საშინაო დავალება“ ლიტერატურული დებიუტია, რომლის მთავარი რედაქტორი მეთერთმეტე კლასის მოსწავლე **თეკლე მუსერიძეა**.

კრებულის ავტორები ჩვენი სკოლის ქართული ენისა და ლიტერატურის პედაგოგის **ნინო ნასყიდაშვილის** 40-მდე მოსწავლეა.

კრებულში შემავალი ნაშრომები: ლექსები, ჩანახატები, ნოველები - შექმნილია საგაკვეთილო პროცესში ან საშინაო დავალების სახით.

მოსწავლეების წამოწყება ემსახურება ახალგაზრდებში შემოქმედებითი უნარების აღმოჩენასა და განვითარებას. სწორედ ამიტომ წიგნი ინტერაქტიულია და მასში დატოვებულია ცარიელი სივრცე მკითხველთათვის, რათა მათ თავად შეძლონ მისი სრულყოფა თავიანთი შთაბეჭდილებებითა და ემოციებით.

წიგნს წინასიტყვაობა დაურთეს ენათმეცნიერების აკადემიკოსმა და პოეტმა შარლოტა კვანტალიანმა და ფილოლოგებმა: ლინდა გოირგაძემ და ნინო ბინიაშვილმა. წიგნის პრეზენტაცია მწერალთა კავშირში გაიმართა.



ჩვენი სკოლის მოსწავლეები სტრასბურგის ევროსაბჭოს ახალგაზრდულ კვირეულში

7-12 ივლისს საქართველოს დელეგაციის სახელით, ევროსაბჭოს ახალგაზრდულ კვირაში "enter! Youth week", სტრასბურგში(საფრანგეთი) ადამიანის უფლებების შესახებ მონაწილეობა მიიღეს ჩვენი სკოლის მოსწავლეებმა: **ნუცა დოლიძემ**, **თამუნა ფარცახაშვილმა** და **ხატია ვარდიშვილმა**, სამოქალაქო განათლების პედაგოგის-**მაკა ბიბილეიშვილის** ხელმძღვანელობით. პროექტის ფარგლებში წარმოდგენილი იყო სამასამდე ადამიანი 46 ქვეყნიდან. ახალგაზრდული კვირის მიმდინარეობისას, განიხილებოდა გამონკვევები და პრობლემები, რომლებთანაც დღესდღეობით ახალგაზრდებს უწევთ გამკლავება. ამაზე დაყრდნობით, შემუშავდა მესიჯი ევროსაბჭოს წევრი ქვეყნებისათვის. პროექტი მხარდაჭერილი იყო სტრასბურგის მერიის, საფრანგეთის განათლების სამინისტროსა და ევროკავშირის მიერ.



ჩვენი სკოლის მოსწავლეები სისხლის სამართლის იმიტირებულ პროცესის გამარჯვებულები გახდნენ თბილისის მასშტაბით

თსუ-ის იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტური თვითმმართველობის განათლებისა და მეცნიერების დეპარტამენტის ორგანიზებით მოსწავლეებისთვის განხორციელდა პროექტი, რომელიც იმიტირებულ სასამართლო პროცესს ეხებოდა. პროექტში ქალაქ თბილისის სკოლის მოსწავლეთა გუნდები მონაწილეობდნენ.

სასამართლო პროცესები თბილისის სააპელაციო სასამართლოში გაიმართა, რომლებსაც მოსამართლეები არსენ კალატოზიშვილი და თათია გოგოლაური უძღვებოდნენ. სასამართლოზე თბილისის რვა სკოლის გუნდი დაუპირისპირდა ერთმანეთს, გუნდებს მენტორობას უწევდა თსუ-იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტები. პროექტის გამარჯვებულები ი.ვეკუას სახელობის 42-ე საჯარო სკოლის მოსწავლეთა გუნდი გახდა.



საქართველოს პარლამენტის მედლით დაჯილდოვდა საბუნებისმეტყველო და ტექნიკური (STEM) მიმართულებებით საერთაშორისო ოლიმპიადებსა და კონფერენციებში საპრიზო ადგილებზე გასული მოსწავლეები, სკოლები და გუნდების ხელმძღვანელები.

პარლამენტში საბუნებისმეტყველო და ტექნიკური (STEM) მიმართულებებით საერთაშორისო ოლიმპიადებსა და კონფერენციებში საპრიზო ადგილებზე გასული მოსწავლეების და გუნდების ხელმძღვანელთა დაჯილდოების ღონისძიება გაიმართა. ღონისძიებაში აკ. ი.ვეკუას სახელობის ფიზიკა-მათემატიკის ქ.თბილისის N42-ე საჯარო სკოლაც მონაწილეობდა. საპატიო მედლით დაჯილდოვდა სკოლა, სკოლის დირექტორის მოადგილე **თეიმურაზ გაჩეჩილაძე**, როგორც ფიზიკის ტურნირების ორგანიზატორი და ხელშემწყობი და ჩვენი სკოლის ქიმიის პედაგოგი **თინათინ ბუთხუბი**, ქიმიის საოლიმპიადო ნაკრების ხელმძღვანელი.



ჩვენი სკოლის ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელმა ნინო ნასყიდაშვილმა მენტორის სტატუსი მოიპოვა

მენტორის სტატუსი სქემაში ჩართული პედაგოგებისთვის ყველაზე მაღალი საფეხურია. მენტორის ფუნქცია-მოვალეობები სასწავლო პროცესის ხარისხის გაუმჯობესებისკენაა მიმართული.

როგორც ცნობილია, სერტიფიცირებულ პედაგოგებს, რომლებიც ამავდროულად იყვნენ დოქტორები სქემის ამოქმედებიდან ავტომატურად მიენიჭათ წამყვანი მასწავლებლის სტატუსი. ხოლო მენტორის სტატუსის მისაღებად პედაგოგებმა სხვადასხვა პროფესიული აქტივობების განხორციელებით 25 კრედიტ-ქულის დაგროვეს.

ვულოცავთ ნინოს ამ წარმატებას და სასკოლო საქმიანობაში.



ლ გამარჯვებას როგორც პირად ასევე

შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის საგრანტო კონკურსი „მეცნიერება ინყება სკოლიდან – კვლევები მოსწავლეთა მონაწილეობით“ გამარჯვებული პროექტები

ჩვენი სკოლის პედაგოგები: **კოტე კუპატაძე**, **თინათინ ბუთხუზი** და **ნინო მთიულიშვილი** შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის საგრანტო კონკურსის „მეცნიერება ინყება სკოლიდან – კვლევები მოსწავლეთა მონაწილეობით“ გამარჯვებულები არიან გამარჯვებული პროექტებია:

- "დიოფანტური განტოლებები"(მათემატიკა)
- „სალენის ტიპის ნაერთების სინთეზი და ბიოლოგიური აქტიურობის კვლევა(ქიმია)
- „ჰომიოპათის კალიბრება და მდგრადი განვითარება“ (გეოგრაფია)



აკადემიკოს ილია ვეკუას სახელობის ფიზიკა-მათემატიკის ქალაქ თბილისის №42 საჯარო სკოლაში ილია ვეკუას დაბადების დღისადმი მიძღვნილი სამეცნიერო-შემოქმედებითი კონფერენცია გაიმართა


2019 წლის 8 მაისს სკოლაში გაიმართა ყოველწლიური სამეცნიერო-შემოქმედებითი კონფერენცია, რომელიც აკადემიკოს ილია ვეკუას იუბილეს მიძღვნა.

მონაწილეებმა წაიკითხეს მოხსენებები მათემატიკის, ფიზიკის, ქიმია-ბიოლოგიის, გეოგრაფიის, ქართული ენისა და ლიტერატურის, ასევე ისტორიის სექციებიდან. მოსწავლეებმა დამსწრე საზოგადოებას წარუდგინეს ყველა ის სოციალური პროექტი და სასკოლო აქტივობა, რომლებიც სკოლაში წარმატებით ხორციელდება.

კონფერენციაზე მონაწილეებმა წარმოადგინეს მათ მიერ გადაღებული ვიდეო რგოლი და ვიდეო ფილმი: “ასე უყვარდათ საქრთველო“.

კონფერენციაზე მონაწილეებმა წარმოადგინეს მათ მიერ გადაღებული ვიდეო რგოლი და ვიდეო ფილმი: “ასე უყვარდათ საქრთველო“.

სამეცნიერო-შემოქმედებითი კონფერენციები ხელს უწყობს მოსწავლეებში მეცნიერების მიმართ ინტერესის გაზრდას, სამეცნიერო სფეროში და სამეცნიერო კვლევით პროექტებში მონაწილეობის გამოცდილებას.



სტანდარტზედა სასწავლო კურსის, "ევროპული მოქალაქეობა - გზა ევროპისკენ" შემაჯამებელი ღონისძიება

2019 წლის 7 ივნისს სკოლაში გაიმართა სტანდარტზედა სასწავლო კურსის, "ევროპული მოქალაქეობა - გზა ევროპისკენ" სასწავლო წლის შემაჯამებელი ღონისძიება.

"გზა ევროპისკენ" უკვე 5 წელია წარმატებით ფუნქციონირებს ჩვენს სკოლაში. კურსის მიზანია დაინტერესებულ მოსწავლეებისთვის ევროპულ ღირებულებებზე, საქართველოს ევროპულ მისწრაფებებზე და ამ გზაზე მიღწეულ წარმატებებზე, ევროკავშირისა და ევროსაბჭოს ინიციატივებზე საქართველოში და მათში მონაწილეობის შესაძლებლობებზე ინფორმაციის მიწოდება, ასევე სკოლაში არაფორმალური სწავლების მეთოდების დანერგვის ხელშეწყობა. კურსი მოიცავს როგორც საგაკვეთილო ფორმატში მოსწავლეებისთვის თეორიული ცოდნის მიწოდებას, ისე ვიზიტებს სხვადასხვა სახელმწიფო ორგანოებსა თუ ახალგაზრდულ ცენტრებში. მოსწავლეები წახალისებული არიან, თავიანთი ინიციატივით დაგეგმონ საინტერესო მიხედვით თანახორციელონ.



მენეჯმენტის სასწავლო კურსის შემაჯამებელი ღონისძიება

2019 წლის 12 ივნისს, ჩატარდა მენეჯმენტის სასწავლო კურსის შემაჯამებელი ღონისძიება.

მოსწავლეებმა დამსწრე საზოგადოებას წარუდგინეს შემაჯამებელი პრეზენტაციები.

ათი ფინალური ნაშრომები ეძღვნებოდა საქართველოში და თურქეთში, ასევე ჰავაის კუნძულებზე ახალი სასტუმროების, რესტორნების, სკოლების, საავადმყოფოების, სამკერვალოების და ბუნების დაცვის ბიზნესების გახსნას! ყველა პროექტი გამოირჩეოდა ინდივიდუალიზმით, მაღალი ტექნიკური დონით და სკურპულოზურობით! ბავშვები უკვე მომავალ საქმიანობაზე, ახალ იდეებსა და მრავალფეროვან თანამშრომლობაზე მსჯელობდნენ;

კითხვების და დისკუსიის შემდეგ, გაიმართა დაჯილდოება და ფურშეტი მონაწილეებისთვის;



სტანდარტზედა სერვისის მენეჯმენტის კურსის ფარგლებში განხორციელდა ექსკურსია კოკა-კოლას კომპანიაში

2019 წლის 6 მარტს აკადემიკოს ილია ვეკუას სახელობის ფიზიკა-მათემატიკის ქალაქ თბილისის №42 საჯარო სკოლის სტანდარტზედა სერვისის მენეჯმენტის პროგრამის ფარგლებში განხორციელდა სასწავლო შემეცნებითი ექსკურსია კოკა კოლას კომპანიაში.

ექსკურსიით სტანდარტზედა სერვისის მსმენელებს შესაძლებლობა ჰქონდათ ენახათ წარმატებული ბიზნესის ნათელი მაგალითი, ისინი უშუალოდ დაესწრნენ სამუშაო პროცესის მიმდინარეობას, ნედლეულიდან მზა პროდუქციამდე. მსმენელებმა თავად იხილეს თუ როგორ ხდება ნასწავლი თეორიის პრაქტიკაში გამოყენება და როგორ მუშაობს ეფექტიანი მენეჯმენტი მსხვილ ბიზნესში.



პროფესიული განვითარებისა და კარიერის დაგეგმვის პროგრამის ფარგლებში სკოლას ყოველწლიურად სხვადასხვა უნივერსიტეტები სტუმრობენ

- თავისუფალი და აგრარული უნივერსიტეტები
- საქართველოს ბანკის უნივერსიტეტი
- საქართველოს საზოგადოებრივ მეცნიერებათა ინსტიტუტი (GII)
- კავკასიის უნივერსიტეტი



სკოლას შანხაის ჯიაო ტონგის უნივერსიტეტის წარმომადგენლები ესტუმრნენ

2018 წლის 12 თებერვალს სკოლაში სტუმრად იმყოფებოდნენ შანხაის ჯიაო ტონგის უნივერსიტეტის წარმომადგენლები.

აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ ჯიაო ტონგის უნივერსიტეტი არის აღმოსავლეთ ქვეყნებში ერთერთი უძველესი, ის 1896 წელს დაარსდა.

სტუმრები პირველად ესტუმრნენ საქართველოს და სწორედ ჩვენს სკოლაში გამართეს შეხვედრა მეთერთმეტე-მეთორმეტე კლასის მოსწავლეებთან. მათ მოსწავლეებს წარუდგინეს პრეზენტაცია უნივერსიტეტის საბაკალავრო პროგრამების შესახებ და გააცნეს ძირითადი მიმართულებები: ელექტრონული ინჟინერია, კომპიუტერული ტექნოლოგიები, არქიტექტურის, ოკეანისა და სამოქალაქო ინჟინერიისა და საბუნებისმეტყველო მეცნიერებების პროგრამები.

შეხვედრა კითხვა-პასუხის რეჟიმში გაიმართა.



აკადემიკოს ილია ვეკუას სახელობის ქალაქ თბილისის № 42 საჯარო სკოლაში ISET-ის პროფესორების საჯარო ლექციები

ივანე ჭავჭავაძის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ISET-ის ეკონომიკის საერთაშორისო სკოლასა და აკადემიკოს ილია ვეკუას სახელობის ქალაქ თბილისის № 42 საჯარო სკოლას შორის ურთიერთთანამშრომლობის პროგრამის ფარგლებში 2018 წლიდან პროფესორების საჯარო ლექციები ხორციელდება.

2019 წლის 21 თებერვალს სკოლაში სტუმრად იმყოფებოდა ლესტერის უნივერსიტეტის მეცნიერებათა დოქტორის ხარისხის მფლობელი და ISET-ის პროფესორი თეიმურაზ გოგსაძე. ის X-XI კლასის მოსწავლეებს შეხვდა. შეხვედრაზე სტუმარმა ისაუბრა ისეთ მნიშვნელოვან საკითხებზე როგორებიცაა: ვიზუალური და შემეცნებითი ილუზიები, გადაწყვეტილებების მიღების ილუზიები, ინფორმაციის ფორმა და საკუთარი გადაწყვეტილებების კონტროლი. შეხვედრა სკოლის დარბაზში გაიმართა.



სასწავლო-შემეცნებითი ტური თავისუფალ უნივერსიტეტში

2019 წლის 28 მარტს, აკადემიკოს ილია ვეკუას სახელობის ფიზიკა-მათემატიკის ქალაქ თბილსის № 42 საჯარო სკოლის VII-1 კლასის მოსწავლეები თავისუფალ უნივერსიტეტს ესტუმრნენ.

სასწავლო შემეცნებითი ტურის ფარგლებში მოსწავლეებმა დაათვალიერეს საბუნებისმეტყველო დარგის მუზეუმი, კამპუსის ბიბლიოთეკა, ქიმიის, ბიოლოგიის, ფიზიკის, ინჟინერიის და კომპიუტერული მეცნიერებების ლაბორატორიები.

მსგავსი ტიპის ექსკურსიები ხელს უწყობს მოზარდებში სამომავლოდ პროფესიული ორიენტაციის სწორად დაგეგმვასა განსაზღვრას.



2018-2019 წლის მნიშვნელოვანი მოვლენები და წარმატებები ჩვენი ბიბლიოთეკა

აკადემიკოს ილია ვეკუას სახელობის ფიზიკა -მათემატიკის ქალაქ
თბილისის N42 საჯარო სკოლა საქართველოს საბიბლიოთეკო
ასოციაციის წევრია.

საერთაშორისო ასოციაციის წევრია ასევე
სკოლის ბიბლიოთეკარი – მედეა მოსიავა:



სტანდარტზედა მომსახურება

სკოლაში მოსწავლეთათვის წარმატებით ხორციელდება შემდეგი სტანდარტზედა მომსახურების სერვისები:

- logikis damatebiTi kursi
- menejmenti
- Jurnalistika (I –II nawili)
- programireba (I –II nawili)
- buRalteriis sabazo kursi
- konfliqtebis marTva da molaparakebebis xelovneba
- eleqtruli kvanZebi da qselebi
- oratoruli xelovneba
- werisa da metyvelebis kultura
- msofliო literatura antikuridan dRemde
- evropuli moqalaqეoba/gza evropisken
- ანალიტიკური აზროვნება
- კომპიუტერული დიზაინი

საოლიმპიადო წრეები

სკოლაში ფუნქციონირებს შემდეგი საოლიმპიადო წრეები:


- ქიმია (ხელმძღვანელი: საქ. ნაკრების საოლიმპიადო გუნდის ხელმძღვანელი - თინათინ ბუთხუზი)
- ფიზიკა
- მათემატიკა
- ბიოლოგია
- ინფორმატიკა
- ასტროფიზიკა

წრეებს უხელმძღვანელებენ ჩვენი სკოლის კურსდამთავრებულები, რომლებიც სხვადასხვა წლებში იყვნენ ოლიმპიადებისა და ტურნირების გამარჯვებულები.

სკოლამ ხელშეკრულება გააფორმა საქართველოს ბიბლიოთეკათა ასოციაციასთან და შიეძინა ბიბლიოთეკისთვის ელექტრონული კატალოგი “Openbiblio”.

საბიბლიოთეკო პროგრამა Openbiblio განკუთვნილია სასკოლო, საუნივერსიტეტო, საეკლესიო, ასოციაციების, ორგანიზაციების ბიბლიოთეკებისათვის ან კერძო კოლექციებისათვის. მასში შესაძლებელია 60000-მდე ბიბლიოგრაფიული ჩანაწერის გაკეთება და მართვა.

2014-2015 სასწავლო წლის დასასრულისთვის პროგრამაში დარეგისტრირებულია ბიბლიოთეკაში არსებული ყველა წიგნი და ჟურნალ-გაზეთები. ასევე შეიქმნა ანბანური და სისტემატიური კატალოგების ელექტრონული ვერსიები, თემატური კატალოგები, კატალოგები განყოფილებების მიხედვით.



მოსწავლეთა სამოქალაქო კლუბების მიმართულებები

1

- ევროინტეგრაცია

2

- გაერო

3

- ნატო

4

- გარემოს დაცვა

5

- თანადგომა

6

- ჯანსაღი ცხოვრების წესი

2018-2019 წლის მნიშვნელოვანი მოვლენები და წარმატებები



PH international

სკოლა ჩართულია სამოქალაქო განათლებისა და პედაგოგთა
გადამზადების პროგრამაში-PH International-ი (დაფინანსებულია
USAID-ის მიერ)

პროგრამის ფარგლებში მოსწავლეთა სამოქალაქო კლუბმა

• მოიპოვა 2 გრანტი პროექტებისათვის "წიგნიერება
ქველმოქმედებისათვის" და „ხელი ხელს“ .

* მიიღო დაფინანსება მოსწავლეთა ინიციატივის
განხორციელებისათვის
„სემინარები ბლოგების შექმნისათვის“.

* კონკურსის გზით მოიპოვა ტექნიკის კომპლექტი: ლეპტოპი,

**აკადემიკოს ილია ვეკუას
სახელობის ფიზიკა მათემატიკის
#42 საჯარო სკოლა**

გმადლობთ ყურადღებისათვის!